

კანიონები და მღვიმეები

საქართველოს ეროვნული პარკები

ჩამოტვირთეთ საქართველოს ეროვნული პარკების
სამოგზაურო აპლიკაცია









საქართველოს დაცული ტერიტორიების
მრავალფეროვანი კანიონები და მღვიმეები

საქართველო უძველესი ისტორიისა და კულტურის გარდა შთამბეჭდავი მღვიმეებითა და კანიონებითაც გამოირჩევა, რომლებიც თავისი ხელთუქმნელობითა და უნიკალურობით განსაკუთრებულ მოგზაურობას გპირდებათ. აქ უხვად შეხვდებით ბუნების ნამდვილ შედევრებს - სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს, რომელთა ულამაზესი თეთრი ნაღვენთი ფორმები ზღაპრული გარემოს შთაბეჭდილებას დაგიტოვებთ, იმოგზაურებთ საქართველოში პირველ კიდულ ბილიკზე, ზიპლაინით გადაუფრენთ კანიონის შესანიშნავ ხედებს. საქართველოს მღვიმეებსა და კანიონებზე მოგზაურობა წარუშლელი შთაბეჭდილებებით აგავსებთ!


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

პრომეთეს მღვიმე

პრომეთეს მღვიმე მსოფლიოს მასშტაბით გამორჩეული სილამაზის ბუნების ძეგლია, რომელსაც ქვეყნის სავიზიტო ბარათი შეგვიძლია ვუწოდოთ. აქ წარმოდგენილი უნიკალური სტალაქტიტების და სტალაგმიტების გასაოცარი ნაღვენთი ფორმები ზღაპრულ სამყაროს ქმნიან. მღვიმეში 6 დარბაზი ფუნქციონირებს (სულ აღმოჩენილია 22 დარბაზი). აქ შესაძლებელია 1 450 მეტრი სიგრძის ბილიკის გავლა და ტურის დასასრულს მდინარის გამდინარე ნაკადზე ნავით გასეირნება. პრომეთეს მღვიმე დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში მდებარეობს.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები


მარტვილის კანიონი

საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა - მარტვილის კანიონი ქუთაისიდან სულ რაღაც 50 კმ-ში მდებარეობს და გასაოცარი სანახაობით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველებზე. ქვით მოკირწყლული 700 მ. სიგრძის წრიული საფეხმავლო ბილიკი ვიზიტორთა ცენტრიდან იწყება და დადიანების ისტორიული რეზიდენციის ტერიტორიაზე გამოგზაურებთ. გზად შეგხვდებათ 2 ხიდი, 3 გადასახედი პლატფორმა, კირქვის დიდი ლოდებისგან აშენებული 30-საფეხურიანი ისტორიული კიბე. ვიზიტორებს, ასევე, შესაძლებლობა აქვთ გაისეირნონ ნავით მდინარე აბაშის 300 მ-იან (ერთი გზა) მონაკვეთზე და დატკბნენ კანიონის სიღრმეში ჩამალული ბუნების საოცრებით.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

წალკის კანიონი

საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან სულ რაღაც 1,5 საათის მანძილზე ულამაზეს ბუნება - წალკის კანიონის უნიკალური ეკოტურისტული სივრცე გელოდებათ, რომელიც 240-მეტრიანი შუშის ხიდით და ზიპ-ბაიკით უკვე იქცა საქართველოს სავიზიტო ბარათად. შუშის ხიდზე გავლისას, შესაძლებლობა გექნებათ 360-გრადუსიანი ხედვის ბრილიანტის რესტორანში განიტვირთოთ. გამოსცადეთ გიგანტური საქანელა და შეიგრძენით ფრენის სიამოვნება. აქ თქვენ დატკბებით ბუნების სასწაულით, რომელსაც კანიონში ჩამავალი ულამაზესი ჩანჩქერის ხილვა მოგანიჭებთ. ჩანჩქერამდე 1,8 კილომეტრ სიგრძის ბილიკის გავლით აღმოჩნდებით, რომელიც გზად არაჩვეულებრივ სანახაობებს გპირდებათ. წალკის კანიონზე შესაძლებლობა გექნებათ მყუდრო და გამორჩეულად ლამაზ ვილჰაუსებში გაათენოთ ღამე.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

სათაფლია

სათაფლია თავისი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლებით თითოეულ სტუმარს არაჩვეულებრივ სანახაობას ჰპირდება. დაწყებული პრეისტორიული ხანის 120 მილიონი წლის წინანდელი დინოზავრების ნაკვალევიდან, დამთავრებული კარსტული მღვიმეებით, სათაფლია ნათლად წარმოაჩენს საქართველოს პრეისტორიულ ისტორიასა და ბუნების მრავალფეროვნებას. სათაფლია არის შესანიშნავი ადგილი, სადაც დაათვალიერებთ უნიკალურ კოლხურ ტყეს და პანორამული გადასახედიდან დატკბებით ულამაზესი ხედებით. აქ მოწყობილია ტურისტული ბილიკები, დინოზავრების პარკი და საგამოფენო დარბაზები. სათაფლიას მღვიმე 1925 წელს აღმოაჩინეს და მას შემდეგ ის ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

ოკაცეს კანიონი

ოკაცეს კანიონი ექსტრემალური შეგრძნებების მოყვარულებს დაუვიწყარ თავგადასავლებს სთავაზობს. საქართველოში პირველი კლდეზე კიდული ბილიკი ოკაცეს კანიონის საოცარ სამყაროს მიუყვება და აქ მოსახვედრად დადიანების ისტორიული პარკი უნდა გაიაროთ. ბილიკი ვიწროა და წრიული მოგზაურობა მხოლოდ ერთი მიმართულებითაა შესაძლებელი. 780 მეტრი სიგრძის კიდული ბილიკი 152 მეტრის სიმაღლეზეა, ბილიკის გვირგვინს კი პანორამული გადასახედი წარმოადგენს, საიდანაც ხელის გულივით მოსჩანს კანიონის საოცარი ხედები. ოკაცეს კანიონი ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდში მდებარეობს.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

ოკაცეს ჩანჩქერი

ოკაცეს კანიონიდან სულ რაღაც 7 კმ-ის მოშორებით ოკაცეს ჩანჩქერი მდებარეობს, რომლის მონახულებითაც გამოწვეული ემოციები მთელი ცხოვრების მანძილზე გაგყვებათ. იმისთვის, რომ მოგზაურობა კიდევ უფრო საინტერესო და ექსტრემალური გახადოთ, აუცილებლად უნდა გამოსცადოთ 500 მეტრიანი ზიპლაინით დაშვება და დაიმუხტოთ სრულიად განსხვავებული ენერგიით. თუ ბუნების ხედებით ტკბობა თქვენი გატაცებაა, აუცილებლად უნდა ეწვიოთ ოკაცეს ჩანჩქერს, აქ თქვენ გამაოგნებელი, ჯადოსნური და დაუვიწყარი თავგადასავლების სამყარო გელოდებათ. ოკაცეს ჩანჩქერი, სამ საფეხურად გადმომავალი ჩანჩქერების კასკადია. რომელთაგან პირველის სიმაღლე დაახლოებით 25 მ-ია, ხოლო მეორე ჩანჩქერი - 70 მ-მდე აღწევს.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

თეთრა მღვიმე

იმოგზაურეთ 30 მილიონი წლის წინანდელ სამყაროში, რომელიც განსაკუთრებული სილამაზის გარდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია და საქართველოს ისტორიის განუყოფელ / გამორჩეულ ნაწილს წარმოადგენს. თეთრა მღვიმეში მკვლევარების მიერ მოპოვებულია 15 000 - მდე არქეოლოგიური ექსპონატი, მათ შორის, პალეოლითელი ადამიანის იდაყვის ძვალი, რაც ადასტურებს, რომ მღვიმე პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელს წარმოადგენდა. ასევე, აღმოჩენილია მღვიმური დათვის, ირმის, ბიზონის, მგლის, მელას, კურდღლის ძვლები, ასევე კერამიკის ნაშთები. თეთრა მღვიმე პირველი ეკოტურისტული სივრცეა საქართველოში, სადაც თეთრი, ქათქათა ფერის ნაღვენთებით გამორჩეულ, ულამაზეს და უძველეს მღვიმეში დაძველებული ღვინის დეგუსტაციას შეძლებთ. საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში პირველად „თეთრა მღვიმეში“ დაინერგა საკმაოდ წარმატებული და მიმზიდველი ინოვაციური სერვისი, რაც გულისხმობს: - მღვიმის თანაბარ, მუდმივ ტემპერატურაზე, ბუნებრივ პირობებში ღვინის დაძველებასა და აქ დაძველებული ღვინის დაგემოვნებას. ასევე, მღვიმეში შესაძლებელია სპელეოგამაჯანსაღებელი სეანსის ჩატარება.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები


ნავენახევის მღვიმე

ნავენახევის მღვიმე განსხვავებული და ლამაზი ფორმის სტალაგმიტებით და სტალაქტიტებით გამორჩეული, 210 მ. სიგრძის, ორსართულიანი და 4 დარბაზიანი მღვიმეა, რომელიც შესასვლელიდან დაახლოებით 30 მ-ში ორად იყოფა, ხოლო საბოლოო წერტილი კი 7 მ-ის სისქის სტალაგნატია. იგი ბუნების საოცრებების გარდა, ვიზიტორებს ასევე სთავაზობს კეთილმოწყობილ ტურისტულ ინფრასტრუქტურას. ნავენახევის მღვიმე, საქართველოს ისტორიულ ქალაქ ქუთაისიდან 25 კმ-ის დაშორებით, სოფელ ნავენახევთან მდებარეობს.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

სამშვილდის კანიონი

სამშვილდის კანიონი ბუნების ნამდვილი საოცრებაა, რომელიც ბუნებრივი სანახაობების გარდა ისტორიულ და კულტურულ ძეგლებსაც აერთიანებს. სამშვილდის კანიონზე სტუმრობისას აღმოაჩენთ ულამაზეს კანიონისებრ ხეობას, მდინარეს, ხედებს და ამასთან ერთად სხვადასხვა პერიოდის ისტორიული ძეგლებს, ნაქალაქარის სახით. კანიონამდე მისასვლელი სამანქანე გზა საკმაოდ მარტივია. მისასვლელად საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან დაახლოებით საათნახევარი დაგჭირდებათ. აქ სტუმრობა რეკომენდირებულია გვიანი შემოდგომიდან ადრეულ გაზაფხულზე პერიოდში.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

ბირთვისის კანიონი

ბირთვისის კანიონზე სტუმრობა იდეალურია ექსტრემის მოყვარული ადმიანებისთვის. მონუმენტური კლდეების, პატარა ჩანჩქერების, კლდოვანი გვირაბების და სხვა სანახაობების ხილვა მეტად შთამბეჭდავს ხდის მოგზაურობას. ბირთვისის კანიონი, სამშვილდის მსგავსად, თბილისიდან ავტომობილით 1 საათის სავალ მანძილზე მდებარეობს.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

საქართველოს ეროვნული პარკები